

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>პროფესიული მომზადების პროგრამა „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა“</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მე-3                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 5 კვირა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ: 50 სთ; 1 – 4 კვირა - 12სთ, მეხუთე კვირა - 2 სთ.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| მინიმალური 5 მაქსიმალური 20                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <ul style="list-style-type: none"> <li>საბაზო განათლება;</li> <li>ასაკი არანაკლებ 17 წელი;</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <b>პროგრამის მიზნები:</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენის“ პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომლითაც მსმენელები ნაღდი ანგარიშსწორებისას შეძლებენ ნამდვილი და ყალბი ბანკოტის (როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში), ერთმანეთისგან განსხვავებას, ნამდვილობის დადგენის სამუალებებისა და მეთოდების დახასიათებას, დაზიანებული ბანკოტების კატეგორიების განსაზღვრას.                                                                                                                                                                             |
| <b>პროგრამის შემუშავების საფუძველი:</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (საფინანსო სერვისები /Finance services -04117-პ)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <b>პროგრამის მოკლე აღწერა:</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენის“ პროფესიული მომზადების პროგრამა მსმენელებს მისცემს შესაძლებლობას, მოახდინონ დაზიანებული და ყალბი კუპიურები ამოცნობა და მისი სტანდარტიზება.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| პროგრამაზე სწავლა განხორციელდება კოლეჯის კეთილმოწყობილ აუდიტორიებში (A გარემო), პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავება. გამოყენებული იქნება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, შესაძლებელია ასევე პროგრამის დისტანციური ფორმით განხორციელება ონლაინპლატფორმ(ებ)ის გამოყენებით. მსმენელების განმავითარებელი შეფასებისთვის გამოყენებული იქნება ტესტური და ზეპირი გამოკითხვა, მიმდინარე (განმავითარებელი შეფასება) ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება. განმსაზღვრელი (საბოლოო) შეფასება ჩატარდება სწავლების ბოლოს ტესტის სახით. |
| პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენის“ პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას ყველა იმ ორგანიზაციაში, სადაც ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორება.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |